# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 131

„28" აპრილი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, სოლოლაკის ხეივანი №12-ის მიმდებარედ, 2227 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.094.035) 149 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალიანსისთვის" (ს/კ: 412723539) ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ. თბილისში, სოლოლაკის ხეივანი №12-ის მიმდებარედ, 2227 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.094.035) 149 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალიანსისთვის" (ს/კ: 412723539) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 მარტის №12.23.219 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოლოლაკის ხეივანი №12-ის მიმდებარედ, 2227 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.094.035) 149 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ალიანსისთვის" (ს/ნ: 412723539) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3700 (სამი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი